



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

**„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მოსაზრებები
ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიასთან დაკავშირებით**

მარტი, 2020

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლების გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს, რამაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმართვა და კანონის უზენაესობის განმტკიცება. სტრატეგიის გრძელვადიანი ხასიათიდან გამომდინარე, ის უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა განმტკიცების ფართო ხედვას, რომელიც რეალურ და ხელშესახებ შედეგებს გამოიწვევს კონსტიტუციური პრინციპების პრაქტიკაში რეალიზების პროცესში.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ წარმოგიდგენთ მოსაზრებებს შემდეგ საკვანძო და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით:

- 1) სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- 2) გამოხატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- 3) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;
- 4) პროკურატურის დამოუკიდებლობა;
- 5) თანასწორობის უფლება;
- 6) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.

1. სამართლიანი სასამართლოს უფლება

2014-2020 წლების სტრატეგია ერთ-ერთ საკითხად ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვის გაუმჯობესებას სასამართლო სისტემის განგრძობადი რეფორმის განხორციელებით. მიუხედავად ბოლო წლებში გატარებული რეფორმებისა, კანონმდებლობა სასამართლოს დამოუკიდებლობის საკმარის გარანტიებს ვერ უზრუნველყოფს და ცალკეული არსებითი ხარვეზები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება¹. შესაბამისად, IDFI მიიჩნევს, რომ ახალმა სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული მიმართულება და მოიცვას შემდეგი საკვანძო საკითხები:

- სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერება მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სისტემის რეფორმის გზით, რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთო სასამართლოების დაკომპლექტება დამსახურების პრინციპის საფუძველზე;
- უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოსთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა სასამართლოს თავმჯდომარის ცალკეული ფართო

¹ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

IDFI, საია, „საქართველოს უზენაესი სასამართლო - ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი“, 2020, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/ge/presentation_of_the_report_on_institutional_and_legal_framework_of_the_supreme_court_of_georgia

IDFI, EMC, „სასამართლოს რეფორმის შედეგების შეფასება - დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/assessment_of_the_judicial_reform_system_of_disciplinary_liability_of_judges

IDFI, EMC, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/ge/assessment_of_the_judicial_reform

IDFI, „საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში - 2015-2018 წლების პრაქტიკა“, 2019, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/compliance_with_deadlines_in_georgian_court

IDFI, EMC, „სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა“, 2018, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/evaluation_report_of_court_system_strategy_and_action_plan

IDFI, ISFED, „მოსამართლეთა პროფესიული მომზადების სისტემა საქართველოში“, 2019, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/ge/problems_identified_in_the_judges_professional_training_system_suggest_that_comprehensive_reform_of_high_school_of_justice_is_needed

უფლებამოსილებების შეზღუდვის, პლენუმის შემადგენლობის ცვლილებისა და მისი გადაჭარბებული უფლებამოსილებების შეზღუდვის, ასევე საბჭოსა და უზენაეს სასამართლოს შორის კომპეტენციების ეფექტური გამიჯვნის მიზნით;

- სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაძლიერება;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის შემდგომი რეფორმა მისი რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, ასევე მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით;
- მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის შემდგომი გაუმჯობესება, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და მისი საქმიანობის სათანადო გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით;
- სასამართლო სისტემის შიდა დამოუკიდებლობის გაძლიერება სასამართლოს თავმჯდომარეების თანამდებობაზე დანიშვნის წესის ცვლილებისა და მათი გადაჭარბებული უფლებამოსილებების შეზღუდვის გზით;
- მართლმსაჯულების ეფექტიანობის უზრუნველყოფა სასამართლოების გადატვირთულობასა და საქმეთა განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის გზით;
- მოსამართლეთა დაწინაურებისა და პერიოდული შეფასების სისტემის რეფორმა;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება საქმეთა თანაბარი განაწილების უზრუნველყოფის, ასევე მანიპულირებისა და თვითნებური განაწილების თავიდან აცილების მიზნით.

2. გამოხატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2014-2020 წლების სტრატეგია ერთ-ერთ საკითხად ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების, აგრეთვე შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნას. IDFI მიიჩნევს, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა ცალკე მიმართულებად უნდა გამოიყოს ახალ სტრატეგიაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტი, ბოლო წლებში, ცალკეული საჯარო პირებისა და უწყებების ინიციატივებით გამოხატვის თავისუფლებას რამდენჯერმე დაემუქრა საფრთხე², რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.

გარდა ამისა, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები მედიის თავისუფლების კუთხით კითხვის ნიშნებს აჩენს და პოლიტიზირებაზე მიუთითებს, რაზეც ყურადღება გამახვილებულია როგორც საერთაშორისო შეფასებებში³, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებში⁴.

² IDFI, „რა საფრთხე ემუქრება გამოხატვის თავისუფლებას საქართველოში“, 2019, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/ge/threat_posed_to_freedom_of_expression_in_georgia

³ US Department of State, Georgia 2019 Human Rights Report, ხელმისაწვდომია: <https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/03/GEORGIA-2019-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf>

OSCE ODIHR Election Observation Mission Final Report, ხელმისაწვდომია:

<https://www.osce.org/odihr/elections/georgia/412724?download=true>

⁴ საზოგადოებრივი ორგანიზაციები აჭარის მაუწყებელში მიმდინარე საგანგაშო პროცესებზე საერთაშორისო

ორგანიზაციებს კოლექტიურად მიმართავენ, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/appeal_to_international_organizations

რაც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არის ასახული, არ არსებობს კანონი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“, რომელიც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკმარისად მყარ გარანტიებს შექმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს მომზადდა კანონპროექტი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“, ის დღემდე არ არის წარდგენილი პარლამენტში. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს საზედამხედველო ორგანოს არსებობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის მექანიზმს, ასევე არ არსებობს სანქციები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უკანონო უარის შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, IDFI მიიჩნევს, რომ ახალმა სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

- გამოხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის განმტკიცება;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განმტკიცება „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღების, საზედამხედველო ორგანოს შექმნისა და სანქციების შემოღების გზით.

3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

2014-2020 წლების სტრატეგია ერთ-ერთ საკითხად ითვალისწინებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვას, რაც IDFI-ის მოსაზრებით, ასევე უნდა აისახოს ახალ სტრატეგიაშიც.

ამ კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში. 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან, რაც იძლევა კომუნიკაციის შეუზღუდავი მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობას. გადაწყვეტილების მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების პროცესის კონტროლს. პარლამენტის მიერ 2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც ახლებურად მოწესრიგდა ფარული ელექტრონული თვალთვალის განმახორციელებელი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ორგანიზება, ვერ პასუხობს კონსტიტუციურ სტანდარტს⁵ და გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში 300-მდე მოქალაქის მიერ.

აქედან გამომდინარე, IDFI მიიჩნევს, რომ სტრატეგიამ ერთ-ერთ ამოცანად უნდა გაითვალისწინოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტთან.

⁵ IDFI, ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში (იანვარი-აგვისტო, 2017), ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/ge/regulating_secret_surveillance_georgia_january_august_2017

IDFI, ფარული მიყურადების რეგულირება და პრაქტიკა საქართველოში, 2017-2019, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/ge/statistics_of_secret_surveillance_2017_2019_in_georgia

4. პროკურატურის დამოუკიდებლობა

2014-2020 წლების სტრატეგიით ერთ-ერთ მიმართულებად გათვალისწინებულია „პროკურატურის რეფორმირება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სამართლიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივი დევნის დამოუკიდებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად“. IDFI მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიმართულება ახალი სტრატეგიითაც უნდა იყოს გათვალისწინებული.

საქართველოს პროკურატურისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება მნიშვნელოვანი წინსვლას წარმოადგენს, თუმცა, მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, კვლავ არსებობს გამოწვევები, რომლებიც შემდგომ მუშაობასა და პროკურატურაში ძლიერი მართვის მექანიზმის არსებობას მოითხოვს.

მართალია, იუსტიციის მინისტრი აღარ არის საპროკურორო საბჭოს წევრი, თუმცა ეს არის ის ერთადერთი ცვლილება, რომელიც საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესმა განიცადა. აღნიშნული გახდა როგორც სამოქალაქო საზოგადოების,⁶ ისე ვენეციის კომისიის კრიტიკის საგანი, სამოქალაქო საზოგადოების დაბალი მონაწილეობის კუთხით.⁷ 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საპროკურორო საბჭოს დაევალა პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, თუმცა, რელევანტური საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე აღნიშნული უბრალო ფორმალობას წარმოადგენს.

გამოწვევად რჩება ინდივიდუალურ პროკურორთა დამოუკიდებლობა. პროკურორები საჭიროებენ ეფექტურ და მოქმედ სამართლებრივ გარანტიებს, რათა მათი ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა უზრუნველყოფილი იქნეს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია არამენეჯერული პოზიციების მქონე პროკურორთა გაძლიერება და მათი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა.⁸ აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური გადაცდომის, წახალისებისა და დაწინაურების საკითხის განხილვა კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს უფლებამოსილებას წარმოადგენს, თუმცა, საბჭოს გადაწყვეტილება გენერალური პროკურორისთვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. ასეთმა სისტემამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ინდივიდუალური

⁶ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მოსაზრებები „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით, 2018, გვ. 2 – 3, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/PrIME_Project_EU/opinion_on_draft_law_PSG_geo.PDF

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მოსაზრებები „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით, 2018, გვ. 1 – 2, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/EMC-ის_მოსაზრებები_1537957263.pdf

https://emc.org.ge/uploads/products/pdf/EMC-ის_მოსაზრებები_1537957263.pdf

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF), პროკურატურის რეფორმის შეფასება, 2018, ხელმისაწვდომია:

<https://osgf.ge/prokuraturis-reformis-shefaseba/>

⁷ Venice Commission, Opinion on the provisions on the Prosecutorial Council in the Draft Organic Law on the Prosecutor's Office and on the Provisions on the Hight Council of Justice in the Existing Organic Law on General Courts, 17 December 2018, p. 8, para. 33, available at: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2018\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)029-e)

⁸ GRECO, Fourth Evaluation Round Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors, Evaluation Report, (Strasbourg, 28 November – 2 December 2016), pp. 46-47, available at:

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806dc116>

პროკურორების დამოუკიდებლობაზე და მოაქციოს ჭარბი უფლებამოსილება გენერალური პროკურორის ხელში.⁹

აუცილებელია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდეს პროკურორთა პროფესიული უნარების მიხედვით დანიშვნას. გენერალურ პროკურორს არ უნდა ჰქონდეს დისკრეციული უფლებამოსილება, პროკურორები დანიშნოს კონკურსის გარეშე. ამასთან, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე იყოს დარეგულირებული პროკურორთა დაწინაურების დეტალური კრიტერიუმები და დაწინაურების თაობაზე გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა, რაზეც მიუთითებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები.¹⁰ დაწინაურებასთან ერთად, საჭიროა პროკურატურის შესახებ ორგანული კანონით განმტკიცებული იყოს პროცედურული გარანტიები და კრიტერიუმები პროკურორთა/გამომძიებელთა სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ (მათ შორის იძულებითი როტაცია) გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით.¹¹

გენერალური პროკურორის თანამდებობაზე გამწესების ზოგად კრიტერიუმებთან ერთად მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით გაწერილი იყოს კანდიდატის შერჩევის დეტალური კრიტერიუმები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ზოგადი კრიტერიუმების მიხედვით შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრებისას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გენერალურ პროკურორს თანამდებობაზე ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით.¹² აღნიშნული კანდიდატის არჩევის დეპოლიტიზირებას სრულად ვერ უზრუნველყოფს, რის რეკომენდაციასაც იძლეოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები.¹³

IDFI მიიჩნევს, რომ ახალმა სტრატეგიამ, აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

⁹ OECD, Anti-Corruption Reforms in Georgia, Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action-Plan, 2016, pp. 69-70, available at: <https://www.oecd.org/corruption/anti-bribery/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf>

¹⁰ GRECO, Fourth Evaluation Round Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors, Evaluation Report, (Strasbourg, 28 November – 2 December 2016), pp. 43 – 44, available at:

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806dc116>

OECD, Anti-Corruption Reforms in Georgia, Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action-Plan, 2016, pp. 70 – 71, available at: <https://www.oecd.org/corruption/anti-bribery/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf>

¹¹ IDFI, საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ანგარიში (2017-2018 წლები), გვ. 193 – 197, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/PrIME/report_29_october_2019_GEO_full_document.pdf

¹² საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ (2018), მუხლი 16(3), ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/document/view/4382740?publication=3>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (2018), მუხლი 204(4), ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/document/view/4401423>

¹³ GRECO, Fourth Evaluation Round Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors, Evaluation Report, (Strasbourg, 28 November – 2 December 2016), pp. 42 – 43, available at:

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806dc116>

OECD, Anti-Corruption Reforms in Georgia, Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action-Plan, 2016, pp. 69 – 71, available at: <https://www.oecd.org/corruption/anti-bribery/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf>

Joint Opinion of the European Commission for Democracy Through Law, Consultative Council of European Prosecutors and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights On The Draft Amendments To The Law On The Prosecutor's Office Of Georgia, 2015, pp. 4, 7-9, available at: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2015\)039-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)039-e)

- საპროკურორო საბჭოს საქმიანობაში პოლიტიკური სუბიექტების (მაგალითად, პარლამენტარები და იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი პირი) მონაწილეობის მინიმუმამდე შემცირება;
- საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილების გაზრდა;
- კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს როლის გაძლიერება;
- საპროკურორო საბჭოს შემადგენლობის გადახედვა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- პროკურორთა და გამომძიებელთა დაწინაურების დეტალური კრიტერიუმებისა და დანიშვნა-დაწინაურების თაობაზე გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობის კანონმდებლობით გაწერა;
- პროკურორთა/გამომძიებელთა სხვა თანამდებობაზე გადაყვანის თაობაზე (მათ შორის იძულებითი როტაცია) გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით პროცედურული გარანტიებისა და კრიტერიუმების კანონმდებლობით გაწერა;
- გენერალური პროკურორის თანამდებობაზე გამწესების დეტალური კრიტერიუმების კანონმდებლობით გაწერა და კანდიდატის შერჩევის პროცესის დეპოლიტიზაციის უზრუნველყოფა.

5. თანასწორობის უფლება

2014-2020 წლების სტრატეგიით ერთ-ერთ მიმართულებად გათვალისწინებულია „თანასწორობის უფლების უზრუნველყოფა და უმცირესობათა უფლებების დაცვა“. აღნიშნული, სხვა მიზნებთან ერთად, მოიაზრებს სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნეული დისკრიმინაციის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფას. IDFI მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიმართულება ახალი სტრატეგიითაც უნდა იყოს გათვალისწინებული.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსს დამატა 53¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმებას იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციის შემცველი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ხდება. თუმცა, 53¹ მუხლი პრაქტიკაში სათანადოდ არ გამოიყენება. უფლებადამცველ ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის კომპონენტის იდენტიფიცირება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს.

სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა უმრავლესობა (სექსუალური უმცირესობები) მიუთითებს სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის, არასათანადო რეაგირების და ჰომოფობიური მოპყრობის ფაქტზე.¹⁴ ამასთან, სამართალდამცველთა მხრიდან სიძულვილით მოტივირებულ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ დაწყებული დევნის მაჩვენებელი კვლავ დაბალია. ყურადსაღებია, რომ ჯერ კიდევ 2016 წელს დაწყებულ სამართალდამცველების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ არცერთ საქმეზე პროკურატურას არ

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2018), გვ. 139, <http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>

ყავს გამოკვეთილი დაზარალებული ან/და ბრალდებული. აღნიშნული მიუთითებს საკითხის პრობლემურობაზე.¹⁵

გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, რომ ახალმა სტრატეგიამ კვლავ გაითვალისწინოს აღნიშნული მიმართულება და მოიცვას შემდეგი საკვანძო საკითხები:

- სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ცნობიერების ამაღლება და შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით სამართალდამცველთა სენსიტიურობის გაზრდა;
- დისკრიმინაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით სახელმძღვანელო წესების სრულყოფა და პრაქტიკაში დანერგვა.

6. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

2014-2020 წლების სტრატეგიით ერთ-ერთ მიმართულებად გათვალისწინებულია „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა“. IDFI მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიმართულება ახალი სტრატეგიითაც უნდა იყოს გათვალისწინებული.

არსებული სიტუაციის ანალიზი ისევე, როგორც საერთაშორისო¹⁶ და ადგილობრივი¹⁷ ორგანიზაციების შეფასებები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი და სრულყოფილი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ხშირ შემთხვევაში პროკურორები არ არიან საკმარისად ინფორმირებული გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირებასთან დაკავშირებით არსებული სტანდარტებისა და სპეციალური მიდგომების შესახებ,¹⁸ რაც, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ხარვეზს, მეორე მხრივ კი, მსგავსი ტიპის დანაშაულების მსხვერპლთა უფლებების დაცვისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი სირთულე უკავშირდება ოჯახურ დანაშაულებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე სპეციალიზებულ პროკურორთა არასაკმარის რაოდენობას,¹⁹ რაც სპეციალიზებულ პროკურორთა გადატვირთულობას იწვევს. ამასთან, პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილად მონიტორინგისთვის არ არსებობს გამართული სისტემა. რიგ შემთხვევებში, პროკურორს უწევს არათუ სხვადასხვა სისხლის

¹⁵ IDFI, საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ანგარიში (2017-2018 წლები), გვ. 60, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/PrIME/report_29_october_2019_GEO_full_document.pdf

¹⁶ ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 9 ივნისი 2016, გვ. 17;

Un women Georgia official website, “Chief Prosecutor’s Office of Georgia presents analysis of cases of violence against women and girls”, 27 November 2018.

¹⁷ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს პროკურატურის სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიმოხილვა: მიღწევები და არსებული გამოწვევები, ანალიზი, 2018, გვ. 6 – 9; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები, მონიტორინგის ანგარიში #10, 2017; საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N13, 2019.

¹⁸ Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on her mission to Georgia, 9 June 2016, p. 17, available at: https://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/HRC/32/42/Add.3

¹⁹ IDFI, საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ანგარიში (2017-2018 წლები), გვ. 55 - 56, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/PrIME/report_29_october_2019_GEO_full_document.pdf

სამართლის საქმის ერთდროულად განხილვა, არამედ ერთმანეთის მიყოლებით ჩანიშნულ სასამართლო პროცესებზე გამოსვლა რაც მკაფიოდ უარყოფით გავლენას ახდენს როგორც პროცესის მიმდინარეობაზე, ისე ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესის წარმოების ხარისხზე.

IDFI მიიჩნევს, რომ ახალმა სტრატეგიამ კვლავ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული მიმართულება და მოიცვას შემდეგი საკვანძო საკითხები:

- უზრუნველყოფილი იყოს ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულების მიმართულებით პროკურორთა სპეციალიზაცია მათი საჭირო რაოდენობის უზრუნველყოფისა და, შესაბამისად, სპეციალიზებულ პროკურორთა გადატვირთულობის აღმოფხვრის მიზნით;
- ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად უზრუნველყოფილი იყოს სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილი მონიტორინგის სისტემის შექმნა.



მოცემული მასალის/გამოცემის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.